სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ხელნაწერის უფლებით

ზაზა წურწუმია

აფხაზეთი რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობებში
(XVს. II ნახევარი – XXს. I მეოთხედი)

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი – 2009

ნაშრომი შესრულებულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

სამეცნიერო ხელმძღვანელები: **მიხეილ სვანიძე**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

ბეჟან ხორავა

ისტორიიის დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები: **გიული ალასანია**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
სრული პროფესორი

ავთანდილ კილასონია

ისტორიიის დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2010 წლის 22 იანვარს 14 საათზე, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე.

მისამართი: თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №9.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული
მდივანი, ფილოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი,
სრული პროფესორი **ო. პეტრიაშვილი**

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

საკვლევი თემის აქტუალობა და მნიშვნელობა: საქართველოს უძველესი და განუყოფელი კუთხის – აფხაზეთის ისტორია, ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში ავტონომიური ერთეულის სახით შესვლამდე, დაკავშირებულია საქართველოს ორი დიდი და აგრესიული მეზობლის და რუსეთის იმპერიების აფხაზეთში, ისევე როგორც მთლიანად საქართველოში, დამკვიდრებისა და კავკასიაში გაბატონების მისწრაფებებთან.

თანამედროვე ეტაპზე, აფხაზეთში რუსული საოკუპაციო რეჟიმის არსებობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და აფხაზეთის საკითხის დარეგულირების შემაფერხებელ გარემოებად გვევლინება. ამავე დროს აფხაზეთის საკითხი დაკავშირებულია საქართველო-თურქეთის ურთიერთობებთან, იმ ფაქტორიდან გამომდინარე, რასაც წარმოადგენს თურქეთის აფხაზური დიასპორა და მისი დამოკიდებულება აფხაზეთში მიმდინარე პროცესებთან.

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია მკვლევართა წინაშე აფხაზეთის ისტორიის ობიექტურად და საფუძვლიანად შესწავლის მოთხოვნებს აყენებს. აფხაზეთის პოლიტიკური ისტორიის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიების ბრძოლა აფხაზეთში გაბატონებისათვის. საქართველოს მთლიანობის აღდგენის პროცესში გასათვალისწინებელია ის მოვლენები, რაც განაპირობებდა აფხაზეთის როლს ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიების ურთიერთობებში. ამდენად, დღეს როდესაც აფხაზეთში გაბატონებულია რუსული საოკუპაციო რეჟიმი, ხოლო თურქეთის რესპუბლიკა აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და გამოთქვამს აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებაში მონაწილეობის სურვილს, მნიშვნელოვანია სათანადოდ წარმოჩინდეს აფხზეთის ადგილი ოსმალეთ-რუსეთის ურთიერთობებში.

კვლევის მიზანი და ამოცანები: კვლევის მიზანს შეადგენს რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობებში აფხაზეთის როლისა და ადგილის მონოგრაფიული შესწავლა. ნაშრომში გაშუქებულია რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობებში აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებული საკვანძო პრობლემები: ოსმალეთის ექსპანსია და პოლიტიკური გაბატონება აფხაზეთში, რუსეთ-ოსმალეთის ბრძოლა აფხაზეთისათვის XIX საუკუნეში, ოსმალოფილური დაჯგუფებების ბრძოლა რუსული მმართველობის წინააღმდეგ, ყირიმის ომის დროს აფხაზეთში მიმდინარე მოვლენები, აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შედეგად აფხაზების ოსმალეთში გადასახლება, ოს-

მალეთის სამხედრო ინტერვენციები აფხაზეთში.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები: საკვლევი თემის აქტუალობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები. ნაშრომში, რომელიც დაწერილია საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკაში დაცული საარქივო მასალების, სამეცნიერო და მემუარული ლიტერატურის, აგრეთვე პრესის მასალების შესწავლის საფუძველზე, პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში მონოგრაფიულად არის შესწავლილი აფხაზეთის საკითხი ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიების ურთიერთობებში. ნაჩვენებია ოსმალეთის ექსპანსია და პოლიტიკური გაბატონება აფხაზეთში, გაშუქებულია ოსმალეთის იმპერიის მიერ დასავლეთ საქართველოზე სამხედრო-პოლიტიკური გაბატონების მიზნით აფხაზეთში პლაცდარმის შექმნისაკენ მიმართული საქმიანობა. ასახულია რუსეთის იმპერიის საქართველოში დამკვიდრებისა და აფხაზეთის რუსეთის მფარველობაში შესვლის შედეგად, ოსმალეთისა და მისი მოკავშირე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების (დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის) მხრიდან აფხაზეთში ანტირუსული, ოსმალოფილური დაჯგუფებების ჩამოყალიბება, შეწავლილია აფხაზეთში ოსმალური სამხედრო ინტერვენციების შედეგად ადგილობრივი მოსახლეობის ანტირუსული გამოსვლების დეტალები, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მხრიდან აფხაზეთში ოსმალური სამხედრო დესანტის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები.

ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს აფხაზეთში რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიების ბრძოლასთან დაკავშირებული ყველა სფეროს შესწავლა, რომელიც ფოკუსირდება ერთი მთავარი პრობლემის - აფხაზეთში სამხედრო პოლიტიკური გაბატონების ირგვლივ. მეცნიერულ სიახლეთა საფუძველზე შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ კვლევით დადასტურებული დასკვნები.

1. განსაკუთრებით საფუძვლიანად არის შესწავლილი აფხაზეთში რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიების პოლიტიკური და სამხედრო მეტოქეობის მიზეზები, მათი ბრძოლის ხერხები და მეთოდები, ამ ბრძოლაში ადგილობრივი ქართული და აფხაზური მოსახლეობის როლი, აფხაზეთში ოსმალოფილური და რუსეთის მომხრე დაჯგუფებების საქმიანობა, ოსმალეთისა და მისი მოკავშირე დასავლეთ ევროპული სახელმწიფოების აფხაზეთთან დაკავშირებული გეგმები და კონკრეტული ღონისძიებები.
2. ქართულ ისტორიოგრაფიაში აქამდე უცნობი, ოსმალური საარქივო მასალების შემოტანისა და თურქი ისტორიკოსების ნაშრომების კრიტიკული განხილვის საფუძველზე, მოცემულია აფხაზეთის ისტორიის აქამდე შეუსწავ-

ლელი მოვლენები, როგორიცაა აფხაზეთში ოსმალეთის სამხედრო-პოლიტიკური გაბატონების დამადასტურებელი მასალები, კერძოდ, აფხაზეთის მთავარ ქელეშ-ბეის მიერ სოხუმის გემსაშენის მშენებლობისათვის ოსმალეთის სახელმწიფო ხაზინიდან დაფინანსების მიღება, მოყვანილია ქელეშ-ბეის მიერ სოხუმის გემსაშენში სულთნის დავალებით აშენებული გემის შესახებ ოსმალური საარქივო მასალები, რითაც უარყოფილია ისტორიოგრაფიაში გაბატონებული შეხედულება, ქელეშ-ბეის მხრიდან სამხედრო ხომალდის სულთნისათვის საჩუქრად გაგზავნის შესახებ.

3. საფუძვლიანად არის გაანალიზებული აფხაზეთის სამთავროს რუსეთის მფარველობაში შესვლის შედეგად ოსმალოფილური დაჯგუფების ანტირუსულ შეიარაღებულ ბრძოლასთან დაკავშირებული საკითხები. ქართულ ისტორიოგრაფიაში მანამდე უცნობი ოსმალური საარქივო წყაროების შემოტანით გაშუქებულია აფხაზეთში XIX საუკუნის პირველ მესამედში ანტირუსული გამოსვლების დეტალები, ნაჩვენებია აფხაზეთის მთავრის გიორგი შარვაშიძის საიდუმლო მოლაპარაკებების შესახებ ოსმალეთის ხელისუფლებასთან. მოყვანილია მასალები ანტირუსული ბრძოლის მეთაურის ასლან-ბეისათვის ოსმალეთიდან გაწეული სამხედრო-ფინანსური დახმარების ოდენობისა და მისი ბიოგრაფიის მანამდე უცნობი დეტალები.
4. შესწავლილია ოსმალეთის მოკავშირე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების, განსაკუთრებით დიდი ბრიტანეთის მხრიდან აფხაზეთში ანტირუსული გამოსვლების პროვოცირების მიზნით წარმოებული საქმიანობა. მოძიებული ახალი მასალების საფუძველზე განხილულია სტამბოლში ინგლისელი დიპლომატებისა და მზვერავების მიერ დაარსებული *„ჩერქეზული პოლიტიკური ცენტრის“* საქმიანობა, რომელსაც რუსებთან მებრძოლი აფხაზებისა და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებისათვის საერთო პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობა უნდა გაეწია.
5. დეტალურად იქნა შესწავლილი და გაანალიზებული აფხაზეთში ოსმალური სამხედრო ინტერვენციების მიმდინარეობა, მასში ადგილობრივი ქართული და აფხაზური მოსახლეობის მონაწილეობა და შედეგები. ქართულ ისტორიოგრაფიაში შემოტანილია თურქი ისტორიკოსების ნაშრომებში დაცული ოსმალური საარქივო მასალები, რომლებიც ასახავენ პირველი მსოფლიო ომის წლებში, ოსმალეთის მმართველი სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფების გეგმებს აფხაზეთთან დაკავშირებით. მოცემულია ცნობა *„საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტისა“* და ოსმალეთის იმპერიის

ხელისუფლებას შორის 1914 წელს, აფხაზეთში სამხედრო ინტერვენციასთან დაკავშირებული უთანხმოებების შესახებ, თურქი ისტორიკოსების შრომების კრიტიკული განხილვის შედეგად საფუძვლიანად არის შესწავლილი 1918 წელს აფხაზეთში ოსმალური სამხედრო დესანტის გადმოსხმისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მხრიდან დესანტის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი.

6. ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად შემოტანილია აფხაზური წარმოშობის თურქი საზოგადო მოღვაწის მუსტაფა ბუტბაის *„მოგონებები კავკასიაზე“*, სადაც დაცულია ძვირფასი ცნობები, პირველი მსოფლიო ომის წლებში, ოსმალეთის გეგმებზე საქართველოს, კერძოდ აფხაზეთის მიმართ.

მეთოდოლოგიური საფუძველი: ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს შეადგენს ისტორიულ მეცნიერებაში შემუშავებული და დანერგილი მოვლენებისა და ფაქტების ანალიზის მეთოდი.

ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩო: ნაშრომში გადმოცემულია აფხაზეთში ოსმალეთის ექსპანსიონისტური პოლიტიკა XVს. II ნახ. – XVIII საუკუნეში, აღწერილია XIX საუკუნეში რუსეთ-ოსმალეთის ბრძოლა აფხაზეთისათვის და აფხაზეთის საკითხი ოსმალეთის საგარეო პოლიტიკაში XXს. I მეოთხედში.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა: მოძიებული, შესწავლილი და ნაშრომში გამოყენებული მასალა მნიშვნელოვანია აფხაზეთისა და ზოგადად საქართველოს ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. გამოკვლევის შედეგები შესაძლოა გამოყენებულ იქნას პრაქტიკულ პედაგოგიურ საქმიანობაში – უმაღლეს სასწავლებლებში სალექციო კურსის, სასემინარო და სპეციალური კურსების მომზადების დროს, საქართველოს ისტორიის შესახებ განმაზოგადებელი ნაშრომების მომზადებისას. სადისერტაციო ნაშრომში ობიექტურადაა ნაჩვენები აფხაზეთის, როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილის, როლი და ადგილი საქართველოს ორი აგრესიული მეზობლის რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიების ურთიერთობებში, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აფხაზეთის კონფლიქტის ყოველმხრივი დარეგულირების მეცნიერულ-ისტორიული ასპექტების შეფასებისას.

ნაშრომის აპრობაცია: სადისერტაციო ნაშრომი აპრობირებულია სოხუმის უნივერსიტეტის ისტორიის მიმართულების სხდომაზე (ოქმი № 1, 10 ივლისი, 2009წ.).

ნაშრომის ძირითადი დებულებები ასახულია შემდეგ პუბლიკაციებში:

1. **აფხაზეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი თურქულ ისტორიოგრაფიაში. –** *საისტორიო ძიებანი. – საისტორიო ძიებანი.* ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის წელიწდეული, V. თბ., 2002, გვ. 122-133. ელექტრონული ვერსია: **http://sites. google.com/site/saistorio dziebani/ dziebani2002**
2. **ერთი თურქული დოკუმენტი სოხუმში გემთმშენებლობის წარსულიდან.** – ჟურნ. *„ახალი ხიდი“* თბ., 2002წ. №2, გვ. 61-63.
3. **აფხაზეთი თანამედროვე თურქ ისტორიკოსთა ნაშრომებში. –** *ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები* ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, №8. თბ., 2004, გვ. 145-160.
4. **ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკა აფხაზეთში.** – ჟურნ. *„აფხაზეთი“,* №1. თბ., 2004. გვ. 48-55.
5. **ოსმალეთის პოლიტიკური გაბატონება აფხაზეთში XVIII საუკუნეში,** – *საისტორიო ძიებანი.* ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის წელიწდეული, X-XI. თბ., 2008. გვ. 200-221. ელექტრონ. ვერსია: **http://sites.google.com/site/saistoriodziebani/ dziebani 2007-2008**
6. **ოსმალური დესანტი აფხაზეთში 1918 წელს.** – *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები.* V, ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია. თბ., 2008წ, გვ. 564-576.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნისაგან. სადისერტაციო ნაშრომის მოცულობაა 181 გვერდი. ნაშრომს ერთვის ბიბლიოგრაფია საისტორიო წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის სიით.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალობა, განხილულია საკითხის ისტორიოგრაფია და წყაროთმცოდნეობითი ბაზა.

ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზა: სადისერტაციო ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზაა როგორც გამოქვეყნებული, ასევე ჩვენს მიერ გამოვლენილი და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილი დოკუმენტები. ჩვენთვის საინტერესო საარქივო მასალები დაცულია საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივში, სადაც თავმოყრილია მასალები რუსეთის იმპერიის მიერ აფხაზეთის სამთავროს გაუქმებისა და აფხაზი მოსახლეობის ოსმალეთში გადასახლების შესახებ.

ნაშრომში გამოყენებულია დოკუმენტური მასალები ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივიდან. მოძიებულია თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის სახელმწიფო არქივების დეპარტამენტის ოსმალურ არქივში დაცული დოკუმენტები, რომელიც შუქს ჰფენს აფხაზეთის ისტორიის ზოგიერთ შეუსწავლელ საკითხს – აფხაზეთში ოსმალეთის პოლიტიკური გაბატონების, აფხაზეთის მთავრის ქელეშ ბეის ოსმალეთის სულთანთან ვასალური დამოკიდებულების ფორმებისა და ვალდებულებების, აფხაზეთში ოსმალეთის სამხედრო ინტერვენციებისა და ოსმალოფილური დაჯგუფებების მოქმედებების შესახებ. უნდა ითქვას, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ჩვენს მიერ შემოტანილი თურქეთის პრემიერ-მინისტრის არქივში დაცული ოსმალური დოკუმენტები ამ მხრივ მდიდარ და მანამდე უცნობ ცნობებს შეიცავენ. ნაშრომში გამოყენებულია კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მასალები და ქართული დოკუმენტური წყაროები.

ქართული ნარატიული წყაროებიდან ნაშრომში გამოყენებულია XVIII ს. ანონიმური ქრონიკა *„ცხოვრება საქართველოისა“* (პარიზის ქრონიკა), ვახუშტი ბატონიშვილის *„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“* და ნიკო დადიანის *„ქართველთ ცხოვრება“*, რომლებიც მდიდარ მასალას შეიცავენ XVII-XIXს. დასაწყისის საქართველოს სამეფო-სამთავროების საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობების, აფხაზეთის ისტორიის, მისი საზღვრების, აფხაზეთში ოსმალეთის გაბატონებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

უცხოური წყაროებიდან აღსანიშნავია ოსმალური წყაროები. ნარატიული წყაროებიდან გამოყენებულია ევლია ჩელების (XVIIს. შუა ხანები), ქათიბ ჩელე-

ბის (XVIIს. I ნახევარი) და მეჰმედ რაშიდის (XVIIIს. დამდეგი) თხზულებები, რომლებიც ძვირფას ცნობებს შეიცავენ აფხაზეთ-ოსმალეთის ურთიერთობების, აფხაზეთში ისლამის გავრცელების, ოსმალური სამხედრო გარნიზონების წინააღმდეგ აფხაზთა ბრძოლის შესახებ. აღნიშნული პერიოდის აფხაზეთის შესახებ ევროპული და თურქული წყაროები ქართულ ისტორიოგრაფიაში შემოტანილია მ. თამარაშვილის, ი. ტაბაღუას, ე. მამისთვალიშვილის, ნ. შენგელიას, მ. სვანიძის, გ. ალასანიას, თ. ბერაძის, დ. პაიჭაძის მიერ.

საკვლევი პერიოდის აფხაზეთზე საინტერესო მასალებს ვხვდებით იმდროინდელ მოვლენათა მონაწილე და თვითმხილველ პოლიტიკურ მოღვაწეთა, დიპლომატთა და მოგზაურთა ნაშრომებში. აფხაზეთის საერისთავოს მონაწილეობაზე ანტიოსმალურ კოალიციასა და აფხაზეთში ოსმალეთის პოლიტიკური გავლენის წინააღმდეგ ბრძოლაზე, რუსული და ოსმალური ორიენტაციის მომხრე დაჯგუფებებზე აფხაზეთში ცნობებს გვაწვდიან ევროპელი ელჩები, მოგზაურები და მისიონერები ა. ვერანჩიჩი, (XVIს.) ა. ლამბერტი, (XVIIს. Iნახ.) ჟ. შარდენი, (1672წ.) ჟ. ფ. გამბა, ფ. დიუბუა დე მონპერე, (XIXს. 20-30-იანი წლები), ედუარდ აიხვალდი (XIXს. I მესამედი) ჯ. ბელი, კ. ბოროზდინი (XIXს. II ნახ).

აფხაზეთში ოსმალური სამხედრო ინტერვენციების შედეგად აფხაზი ხალხის ნაწილის ოსმალეთში გადასახლებისა და მუჰაჯირობასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებაში გამოყენებული გვაქვს მასალები იმდროინდელი ქართული და რუსული პრესიდან – გაზეთებიდან: *„დროება“, „Голос“, „Кавказ“, „Тифлисский Вестник“.*

მემუარული ლიტერატურიდან აღსანიშნავია ოსმან ბეის, დიმიტრი ყიფიანის, შალვა მაღლაკელიძისა და გიორგი მაზნიაშვილის მოგონებები. აღსანიშნავია აფხაზური წარმოშობის თურქი საზოგადო მოღვაწის მუსტაფა ბუტბაის *„მოგონებები კავკასიაზე“*, რომელშიც დაცულია მნიშვნელოვანი ცნობები სტამბოლში მოქმედ ჩერქეზ და აფხაზ მუჰაჯირთა პოლიტიკურ საზოგადოებების კავშირებზე აფხაზეთთან.

საკითხის ისტორიოგრაფია: აფხაზეთის ადგილი ოსმალეთ-რუსეთის ურთიერთობებში ცალკე კვლევის საგანი არ ყოფილა. ამ გარემოებამ და აფხაზეთის საკითხის არსებულმა აქტუალობამ განაპირობა აღნიშნული თემის არჩევა. საისტორიო მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპმა და უცხოურ წყაროებზე მუშაობამ შესაძლებლობა მოგვცა ახლებურად გაგვეაზრებინა აფხაზეთის ადგილი და როლი ოსმალეთ-რუსეთის ურთიერთობებში.

აფხაზეთში ოსმალეთის პოლიტიკის თაობაზე მნიშვნელოვან ცნობებს

გვაწვდიან თანამედროვე თურქი ისტორიკოსები აჰმედ ჯევდეთ ფაშა, ენვერ ზია კარალი, ფაჰრეთინ კირზიოღლუ, ისმაილ ჰამი დანიშმენდი, ისმაილ ჰაკკი უზუნ-ჩარშილი, ჯემალ გოკჩე, ისმაილ ბერკოკი, აჰმედ ჯანბეკი, მ. სადიკ ბილგე, ჰაი-რი ერსოი, ჰანეფი ბოსტანი და ჰალილ ინალჯიკი. მათ ნაშრომებში მოყვანილია ოსმალური დოკუმენტები თურქეთის რესპუბლიკის არქივებიდან, რომელთა ნაწი-ლი ჩვენს მიერ პირველად არის შემოტანილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. თურ-ქი ისტორიკოსებისათვის დამახასიათებელი ერთგვარი ტენდენციურობის მიუხედ-ავად, აფხაზეთის ისტორიის კვლევისათვის მათი შრომები დიდ ინტერესს წარ-მოადგენს.

მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს XIXს. აფხაზეთსა და დასავლეთ კავკასია-ში რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობების, მათში ევროპის ქვეყნებისა და განსა-კუთრებით ინგლისის მონაწილეობის შესახებ ვ. ე. დ. ალენისა და პ. მურატოვის, ბედრი ჰაბიჩოღლუს ნაშრომები.

როგორც უკვე აღინიშნა, აფხაზეთის როლი და ადგილი კავკასიაში მიმდი-ნარე რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირებაში აქამდე სპეციალური კვლევის საგანი არ გამხდარა, თუმცა აფხაზეთის ისტორიის მკვლევართა (ნ. ბერძენიშვილი, ირ. ანთელავა, ზ. ანჩაბაძე, გ. ძიძარია) შრომებში მრავლად არის საინტერესო ცნო-ბები აფხაზეთში ოსმალური და რუსული გავლენებისა და ბრძოლის შესახებ.

ყირიმის ომის წლებში, (1853-1856) აფხაზეთის სამთავროში მიმდინარე პრო-ცესების, აფხაზეთში ოსმალური სამხედრო ოკუპაციის საკითხები განხილულია დ. აფანასიევის, ე. ტარლეს, ე. ბურჭულაძის, ხ. მ. იბრაგიმბეილის, ს. ბუშუევის, ნ. კინიაპინას, მ. ბლიევის, ვ. დეგოევის, დ. ნ. თაკალანძის ნაშრომებში.

აფხაზეთში მთავრის ხელისუფლების გაუქმების, ანტირუსული სოციალურ-პოლიტიკურ მღელვარებისა და შედეგად აფხაზეთის მოსახლეობის მუჰაჯირო-ბის საკითხები განხილულია ად. ბერჟეს, გ. ძიძარიას, ბ. ხორავას, ს. ჯანაშიას, ა. საიდამის, ნ. სმირნოვის, ო. ალპასლანის ნაშრომებში. 1877-1878 წლების რუ-სეთ-ოსმალეთის ომის მიმდინარეობა აფხაზეთში განხილული აქვთ თავის ნაშ-რომებში შ. მეგრელიძეს, ბ. ახვლედიანს, ა. დიაჩკოვ-ტარასოვს, პ. შჩასლივცევს, ა. ვერეშჩაგინს, ა. კურატს, ქემალ ჰ. კარპატს.

1917-1920 წლებში აფხაზეთში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრო-ცესების, კერძოდ, ოსმალური და რუსული ორიენტაციის პოლიტიკური დაჯგუფე-ბების საქმიანობის შესწავლისას გვერდს ვერ ავუვლით, როგორც იმჟამინდელ აფხაზ მოღვაწეთა (ა. ჭოჭუა, მ. ტარნავა, ე. ეშბა, ნ. ლაკობა), ისე თანამედროვე მკვლევართა (ა. მენთეშაშვილი, ჯ. გამახარია და ბ. გოგია, ზ. პაპასქირი, დ. ჩი-

ტაია და სხვ.) დაკვირვებებს.

პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში, 1914 წელს, ოსმალეთის მხრიდან აფხაზეთში სამხედრო დესანტის გადასხმის გეგმების, 1918 წელს აფხაზეთში ოსმალური დესანტის გადასხმის სამზადისის, ოსმალეთის ხელისუფლების აფხაზეთთან დაკავშირებული სამხედრო-პოლიტიკური გეგმების საკითხებს ეხებიან თურქი ისტორიკოსები ს. ბეიოღლუ, ვ. კელეშილმაზი, ი. კურტჯეფჰე და სერპილ ილმაზი. აღსანიშნავია, რომ ვ. კელეშილმაზს მოჰყავს ოსმალური საარქივო დოკუმენტები, რომლებშიც ნაჩვენებია, როგორ ჩაშალა *„საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა“* ოსმალური სამხედრო სარდლობის გეგმა აფხაზეთში 1914 წელს დესანტის გადასხმასთან დაკავშირებით. სერპილ ილმაზის ნაშრომში კი მოყვანილია 1918 წლის ივნისის დამლევს აფხაზეთში განხორციელებული ოსმალური დესანტის გარშემო, ოსმალეთისა და მისი მოკავშირეების – გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის – პოზიციის ამსახველი საარქივო დოკუმენტები.

სადისერტაციო ნაშრომის I თავში – ***„ოსმალეთის პოლიტიკა აფხაზეთში XVს. II ნახევარსა – XVIII საუკუნეში“*** – ნაჩვენებია აფხაზეთში ოსმალეთის სამხედრო ექსპანსიისა და შედეგად პოლიტიკური გაბატონების პროცესი. თავი შედგება ორი პარაგრაფისაგან.

I პარაგრაფში – ***„ოსმალეთის ექსპანსია აფხაზეთში XVს. II ნახევარსა. – XVII საუკუნეში“*** გაშუქებულია დასავლეთ საქართველოში მიმდინარე პროცესების ფონზე ოსმალეთის აგრესია აფხაზეთში. XVს. II ნახევარში, ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლის პროცესთან ერთად უკიდურესად დამძიმდა ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური ვითარება. 1453 წელს ქრისტიანული ბიზანტიის იმპერია დაემხო და მისი ადგილი დაიკავა ოსმალეთის მაჰმადიანურმა სახელმწიფომ. საქართველოს მეფე-მთავრებმა, მიუხედავად ქვეყანაში მიმდინარე მძაფრი შიდაფეოდალური დაპირისპირებისა, შეძლეს გაერთიანებულიყვნენ და მონაწილეობა მიეღოთ ანტიოსმალურ კოალიციაში, რომელიც რომის პაპის ინიციატივით, ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების გაერთიანებას ისახავდა მიზნად. ევროპის ქვეყნების მეთაურთა უარის გამო, ანტიოსმალური კოალიცია ვერ შედგა. საქართველოს მეფე-მთავრების ანტიოსმალური კოალიციის შექმნაში აქტიური მონაწილეობა განპირობებული იყო იმ საფრთხით, რასაც ახალი და აგრესიული მეზობელი ოსმალეთი უქადდა ქვეყანას. ეს საფრთხე ნათლად გამოჩნდა კონსტანტინოპოლის აღებიდან მეორე წელსვე, როდესაც ოსმალთა ფლოტი თავს დაესხა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ქ. ცხუმს, (ამჟამინდელი სოხუმი) ააოხრა და გაძარცვა ქალაქი და აფხაზეთის სანაპირო ზოლი. საქართველოს ეს კუთხე

პირველი გახდა ოსმალთა აგრესიის ობიექტი.

შავი ზღვის აფხაზეთის სანაპიროზე გაბატონებას ოსმალეთი უკავშირებდა თავის პოლიტიკას, რომლის შემადგენელ ნაწილად განიხილებოდა ამ ზღვის „ოსმალეთის შიდა ტბად“ გადაქცევა. სოხუმზე თავდასხმის, ყირიმის სახანოს დამორჩილებისა და შავი ზღვის რეგიონიდან გენუელების გაძევების შედეგად ოსმალეთმა საქართველოს ევროპასთან დამაკავშირებელი ეს გზა მოუსპო. სწორედ ამ პერიოდში, XVს. 70-იანი წლებისათვის პირველად გამოჩნდა ქართული სამყაროსაგან „აფხაზთა გაუცხოების“ კვალი. აფხაზეთში პოლიტიკური, სოციალური და ეთნიკური ვითარების შეცვლის დასაწყისი გამოწვეული იყო საქართველოს სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების მოშლით, რითაც სარგებლობდა ოსმალეთის იმპერია და ხელს უწყობდა, აქეზებდა და წარმართავდა აფხაზეთის მეზობელი მთის ტომების აგრესიას საქართველოზე. აფხაზთა ერისთავი შარვაშიძე, ანტიოსმალური კოალიციის შექმნის პროცესში მხარს უჭერდა ერთიანი საქართველოს მეფე გიორგი VIII-ს, მაგრამ ანტიოსმალური კოალიციის წარუმატებლობისა და ერთიანი ქვეყნის დაშლის შემდეგ, აფხაზთა ერისთავი და მისი საგამგებლო, თანდათანობით მეზობელი მთიელების – ჯიქების, სამხედრო-პოლიტიკური და ეთნიკურ-კულტურული გავლენის ქვეშ მოექცა.

ოსმალთა წაქეზებით მთიელთა შემოსევების დასაწყისში, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი ოდიშის შემადგენლობაში შედიოდა. XVI საუკუნეში ოდიშის შემადგენლობაში შედიოდა ქ. ცხუმი, ჩრდილოეთით კი საზღვარი მდ. ფსირცხაზე გადიოდა. შარვაშიძეთა ქართული ფეოდალური სახლის სამფლობელო – აფხაზეთის საერისთავო, მდ. ფსირცხიდან გაგრის ვიწროებამდე ვრცელდებოდა და ოდიშთან ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა.

XVI საუკუნეში, ოსმალთა იმპერიის საქართველოზე აგრესიის ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა აფხაზეთისა და ოდიშის წინააღმდეგ, ჩრდილო-დასავლეთიდან მთიელთა მარბიელი ლაშქრობების წაქეზება და ორგანიზება. ოსმალეთმა ყირიმის სახანოში გაბატონებასთან ერთად ანაპა დაიკავა და ამგვარად დასავლეთ კავკასიაში ექსპანსიისათვის მნიშვნელოვანი ბაზა შეიქმნა. კავკასიელი მთიელების დასავლეთ საქართველოზე თავდასხმების მიზანი მხოლოდ ძარცვა და ნადავლი ტყვეების გაყიდვა არ იყო. ოსმალთა მხარდაჭერით იწყება დასავლეთ კავკასიის მთის ტომების ჩამოწოლა აფხაზეთში და ბრძოლა აქ ტერიტორიების დასაკუთრებისათვის. ოსმალეთი ცდილობდა მყარი სამხედრო-პოლიტიკური ბაზა შეექმნა დასავლეთ საქართველოში. ამ მიზნით დაარსდა 1578 წელს სოხუმში ოსმალური სამხედრო-პოლიტიკური ერთეული-სოხუ-

მის საბეგლარბეგო, 1579 წელს კი ოსმალებმა ქვის ციხე ააგეს ფოთში.

ოსმალთა წინააღმდეგ აფხაზეთისა და ოდიშის დაცვას დადიანთა სახლი მეთაურობდა. ოსმალებისგან წაქეზებული ჯიქების შემოტევების საპასუხოდ, ქართველები ოსმალეთის იმპერიის მოსაზღვრე პროვინციებს არბევდნენ, მაგრამ ჯიქების შემოტევები აფხაზეთსა და ოდიშზე იმდენად ძლიერი იყო, რომ ოდიშის ხელისუფლები იძულებულნი შეიქნენ, ისევ ოსმალეთისათვის ეთხოვათ დახმარება და საბოლოოდ ჯიქების შემოსევების შეჩერების სანაცვლოდ, ოსმალეთისაგან მფარველობა მიეღოთ და სულთნის უზენაესობა ედიარებინათ. XVIIს. 10-იან წლებში, აფხაზებმა ისარგებლეს ოდიშის სამთავროში რთული შიდაპოლიტიკური ვითარებით და გათავისუფლდნენ დადიანთაგან ვასალური დამოკიდებულებისაგან.

ამგვარად, ჩამოაყალიბდა ცალკე აფხაზეთის სამთავრო ცენტრით ზუფუში (ლიხნი). აფხაზეთი, როგორც ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი ქვეყანა, ოსმალეთს სულადობრივ გადასახადს „ხარაჯას“ უხდიდა. აფხაზეთი, როგორც ცალკე სუბიექტი უხდიდა ხარკს ოსმალეთის სულთანს, ეს ნიშნავდა, რომ აფხაზეთს ოსმალეთი უკვე ცალკე ქვეყნად აღიარებდა. XVIIს. განმავლობაში აფხაზთა სამთავრო ოდიშის ხარჯზე აფართოებს თავის ტერიტორიას. დასავლეთ საქართველოში გაბატონებულმა ფეოდალურმა ანარქიამ, მუდმივმა შინაომებმა და მასში ოსმალეთის ჩართვამ, ოდიშის სამთავროს დასუსტებამ, აფხაზეთის სამთავროს შესაძლებლობა მისცა ოდიშის ხარჯზე გაეფართოებინა საკუთარი ტერიტორია. XVIIს. მიწურულისათვის აფხაზეთის სამთავროს საზღვარი უკვე მდ. ენგურზე გადიოდა.

II პარაგრაფში – ***„ოსმალეთის პოლიტიკური გაბატონება აფხაზეთში XVIII საუკუნეში“*** ასახულია აფხაზეთის ოსმალეთის ვასალურ ქვეყნად ჩამოყალიბება. XVIII საუკუნეში ოსმალეთი აღწევს თავის მიზანს – ქმნის აფხაზეთში სამხედრო ბაზას სოხუმის ციხის (სოხუმ-კალე) სახით და აფხაზეთის სამთავრო სახლზე თავის პოლიტიკურ ბატონობას ამყარებს. უკვე 1701 წელს, ოსმალეთის იმპერიის უმნიშვნელოვანეს სამხედრო საზღვაო ბაზებს შორის მოიხსენიება ფოთისა და სოხუმის ციხეები. 1723 წელს სულთანმა აფხაზეთის მთავარ როსტომს წყალობის ნიშნად ხალათი, მოსახლეობას კი დიდი რაოდენობით მარილი გამოუგზავნა. ოსმალეთი აფხაზეთს თავის ვასალ და დამორჩილებულ ქვეყნად თვლიდა, მაგრამ მთავარს და ურჩ აფხაზებს მაინც არ ენდობოდა.

ამრიგად, ოსმალეთი დაეუფლა შავი ზღვის საქართველოს სანაპირო პუნქტებს. მოსახლეობა ოსმალთა ძალადობას არ ურიგდებოდა. ოსმალო მემატიანის

ქუჩუკ ჩელები ზადეს ცნობით, აფხაზები ზღვიდან და ხმელეთიდან ნიადაგ თავს ესხმოდნენ ოსმალებს, რომლებიც სოხუმში ციხეს აშენებდნენ. თურქეთის პრემიერ-მინისტრის არქივში არსებული ერთი დოკუმენტის მიხედვით, სოხუმის ციხე სიმაგრეში ადგილობრივი მოსახლეობისაგან შემდგარი რაზმები იხდიდნენ სამხედრო სამსახურს, ოსმალეთის ხელისუფლება მათ ამისათვის ჯამაგირს უხდიდა. ამ დოკუმენტის მიხედვით, რომელიც 1745წ. 25 თებერვლით არის დათარიღებული, სოხუმის ციხეს ორას ოცი ადგილობრივი დაქირავებული მეომარი იცავდა, რომელთაც წლიური ანაზღაურების სახით ოსმალეთის სახელმწიფო ხაზინიდან თანხა გამოეყოფოდათ. XVIIIს. შუა ხანებში, აფხაზეთის საზღვარი სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. ღალიძგაზე გადიოდა, სადაც მას ოდიში ესაზღვრებოდა. ჩრდილო-დასავლეთით – მდ. ბზიფზე აფხაზეთს ჯიქეთი ესაზღვრებოდა.

XVIIIს. II ნახევარში, დასავლეთ საქართველოში გააქტიურდა ოსმალო დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლა, რასაც მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ იმერეთ-ოდიშ-გურიის მესვეურნი ერთად გამოდიოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ. იმერეთის მეფე სოლომონ I-მა (1752-1784) კარგად იცოდა, რომ საბოლოო გამარჯვების მისაღწევად საკუთარი ძალები საკმარისი არ იყო, ამიტომ როგორც ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II (1762-1798წწ.), სოლომონიც რუსეთთან კავშირს ეძიებდა.

1771წ. ზაფხულში, რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს, საქართველოში მოქმედ რუსთა კორპუსთან ერთად, ოდიშის ლაშქრის შემადგენლობაში, ფოთთან იბრძოდა სამურზაყანოს მფლობელი ლევან შარვაშიძეც თავისი რაზმით. იმავდროულად აფხაზები აჯანყდნენ ოსმალების წინააღმდეგ. აფხაზთა მთავარმა ზურაბ შარვაშიძემ და სამურზაყანოს მფლობელმა ლევან შარვაშიძემ შეუპოვარი ბრძოლის შედეგად დაიკავეს სოხუმის ციხე და ოსმალები განდევნეს, მაგრამ ზურაბ და ლევან შარვაშიძეებს შორის მალე უთანხმოება ჩამოვარდა და ლევანმა ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ ციხე ოსმალებს გადასცა. ამ ამბების შემდეგ ოსმალეთი უკვე აღარ ენდობოდა ზურაბ შარვაშიძეს, მხარს უჭერდა მის ძმისწულს ქელეშ-ბეის და მას სამთავრო ტახტისათვის ამზადებდა.

XVIIIს. 80-იანი წლებიდან კავკასია, და განსაკუთრებით საქართველო, ოსმალეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკაში უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს, რაც გამოწვეული იყო რუსეთის მიერ ყირიმის სახანოს დაპყრობისა და აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლ-კახეთის სამეფოს) რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლით. რუსეთის შემოსვლამ საქართველოში საფრთხე შეუქმნა ოსმალეთის ინტერესებს აფხაზეთშიც. ოსმალეთმა აფხაზეთში მტკიცე პლაცდარმის შესაქ-

მნელად აფხაზეთის მთავარს და თავის ვასალ ქელეშ-ბეის, სოხუმის ოსმალეთის სამხედრო-საზღვაო ბაზად გადაქცევა დაავალა.

სულთან სელიმ III ბრძანებით, სოხუმში დაარსდა გემთსაშენი, სადაც ქელეშ-ბეი შარვაშიძის ხელმძღვანელობით ოსმალური ფლოტისათვის სამხედრო გემების მშენებლობა მიმდინარეობდა. სოხუმში აშენებული ოსმალეთის სამხედრო ფლოტის ერთი ხომალდი, სახელწოდებით *„კილიდ ულ ბაჰირ“*, ოსმალური საზღვაო ტერმინოლოგიით *„კალიონი ჯედით“*-ის ტიპის იალქნიანი საბრძოლო გემი იყო. თურქეთის პრემიერ-მინისტრის არქივში დაცული დოკუმენტები შუქს ჰფენენ სოხუმში, ოსმალური სამხედრო ფლოტისათვის გემთმშენლობის საკითხებს.

1793წ. 26 აგვისტოთი დათარიღებულ წერილში აღნიშნულია, რომ სოხუმის გამგებელი, მირლივა (შეესაბამება გენერლის სამხედრო წოდებას – **ზ.წ.**) ქელეშ აჰმედ ბეის მეცადინეობით „გემსაშენის აშენებისათვის მომარაგებული ხის მასალის საფასურად, გაიგზავნოს სოხუმში 34 ათას 600 ყურუში“. ამ ცნობის საფუძველზე, 1793 წელი უნდა ჩაითვალოს სოხუმში, ოსმალეთის სამხედრო ფლოტისათვის გემთსაშენის მშენებლობის დასაწყისად. სოხუმში გემთსაშენის მშენებლობისა და ოსმალეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის ხომალდის აგებასთან დაკავშირებული ფინანსური საკითხები სულთნის კანცელარიასა და აფხაზეთის მთავარს შორის წლების მანძილზე ვაჭრობისა და უთანხმოების საგანი ყოფილა. ქელეშ-ბეი მუდმივად მოითხოვდა თანხებს, რაც ოსმალეთის ხელისუფლების უნდობლობასა და უკმაყოფილებას იწვევდა.

1794წ. 3 ნოემბრით დათარიღებულ ბრძანებაში სოხუმის გამგებელ ქელეშ ბეისადმი აღნიშნულია, რომ სოხუმში ასაშენებელი სამხედრო გემისათვის გამოიყო ძალიან დიდი რაოდენობის თანხა, რის გამოც დამატებით რაიმე თანხის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იქნება. ორი წლის შემდეგ, სულთნის კანცელარია ისევ სწავლობდა სოხუმში გემთმშენებლობის დაფინანსების საკითხს. ქელეშ ბეი ამჯერადაც დიდ თანხას მოითხოვდა და ოსმალეთის ხელისუფლება, იძულებული გამხდარა ეს დაფინანსება გამოეყო. 1796წ. 2 სექტემბრით დათარიღებულ განკარგულებაში აღნიშნულია, რომ მიღებულია გადაწყვეტილება სოხუმში გემთმშენებლობის დასაფინანსებლად, დამატებით 7 ათას 500 ყურუში გამოიყოს. ოსმალეთის ხელისუფლება თავისი ვასალის, ქელეშ-ბეის დაფინანსებას დიდ ყურადღებას აქცევდა, რადგან მას რეგიონში ოსმალეთის სამხედრო-პოლიტიკური ინტერესებისთვის აუცილებელ ფაქტორად მიიჩნევდა. 1793 წელს ქელეშ-ბეი მისთვის გადაცემული ანაკლიის ციხის შეკეთებისათვის სამოცი ათასი ყურუშს ითხოვდა ოსმალეთისაგან. 1795 წელს ოსმალეთის ხელისუფლებამ, ქე-

ლეშ-ბეის სოხუმის ციხის გასამაგრებლად სამუშაოების ჩატარებას დაავალა.

სადისერტაციო ნაშრომის II თავი*: „რუსეთ-ოსმალეთის ბრძოლა აფხაზეთისათვის XIX საუკუნის პირველ ნახევარში და ყირიმის ომი“* მოიცავს სამ პარაგრაფს.

I პარაგრაფში *„აფხაზეთის შესვლა რუსეთის იმპერიის მფარველობაში“* გაშუქებულია აფხაზეთის სამთავროს რუსეთის მფარველობაში შესვლასთან დაკავშირებული საკითხები.

აღმოსავლეთ საქართველოს შემოერთების შემდეგ, ცარიზმის პოლიტიკის არსი დასავლეთ საქართველოს მიმართ აშკარად გამოჩნდა უკვე 1802 წელს, როცა საქართველოს მთავარსარდალსა და ასტრახანის გენერალ-გუბერნატორს, ფაქტობრივად, კავკასიის მთავარმართებელს, გენერალ პ. ციციანოვს (1802-1806წწ.) დაევალა ყველა ღონე ეხმარა დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების რუსეთთან მიერთებისა და შავი ზღვის სანაპიროზე განმტკიცებისათვის.

1803წ. დეკემბერში, სამეგრელოს მთავარმა გრიგოლ დადიანმა ხელი მოაწერა „სამფარველო“ ხელშეკრულებას და რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დაიფიცა. იმავე წელს, გრიგოლ დადიანმა პ. ციციანოვს აცნობა, რომ „ქელეშ-ბეგ შარვაშიძე, მფლობელი აფხაზეთისა, ეძიებს მფარველობასა რუსეთისა.“ XIXს. დასაწყისში, კავკასიაში რუსეთის პოზიციების განმტკიცების შემდეგ, ქელეშ-ბეი შარვაშიძემ საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლა დაიწყო. ვასალური დამოკიდებულება ოსმალეთზე აფხაზეთის მთავარს უკვე არ აკმაყოფილებდა. საქართველოში თანდათან მტკიცდებოდა რუსეთის პოზიციები, ოსმალეთის იმპერია კი ღრმა კრიზისს განიცდიდა. დასავლეთ საქართველოში რუსეთის გაბატონების კვალობაზე აფხაზეთის ჯერიც დადგებოდა, რადგან აფხაზეთი საქართველოს ორგანული შემადგენელი ნაწილი იყო. მეზობელი სამეგრელოს სამთავროს გაძლიერება და მასთან დაკავშირებული სამურზაყანოს ბატონების რუსეთის მფარველობაში შესვლა, აფხაზეთის მთავრის შეშფოთებას იწვევდა. ქელეშ-ბეი კარგად იყო ინფორმირებული ოსმალეთის იმპერიის საშინაო და საგარეო პოლიტიკურ კრიზისზე, ამიტომ მან ოსმალეთთან ღია კონფრონტაციის გზა ირჩია. ქელეშ-ბეის პოლიტიკური კურსის რადიკალური ცვლილება, აფხაზეთში ოსმალეთის ჰეგემონობის დასასრულის მომასწავებელი იყო.

აფხაზეთის მთავარმა მოხერხებულად ისარგებლა რა სულთნისაგან დევნილი ტრაპიზონელი ტაიარ ფაშასათვის თავშესაფრის მიცემის საკითხით, დევნილი ფაშა აფხაზეთის ოსმალეთისგან ჩამოშორების ფორმალურ საბაბად გამოიყ-

ენა. 1806წ. მაისში, ქელეშ-ბეიმ თხოვნით მიმართა კავკასიის რუსულ ადმინისტრაციას, მიეღო აფხაზეთი რუსეთის მფარველობაში და ოსმალეთისაგან დაეცვა იგი. იმავდროულად ქელეშ-ბეიმ მეგობრული ურთიერთობა დაამყარა სამეგრელოს სამთავრო სახლთან. რუსი გენერლის რიკჰოფის შუამავლობით აფხაზეთისა და სამეგრელოს მთავრები, რომლებიც XIXს. დასაწყისში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, შერიგდნენ. აფხაზთა სამთავრო სახლი დაუმოყვრდა სამეგრელოს სამთავრო სახლს. ქელეშ-ბეის ვაჟი საფარ-ბეი ფარულად მოინათლა (ნათლობის სახელი – გიორგი) და სამეგრელოს მთავრის გრიგოლ დადიანის და თამარი შეირთო. ეს დინასტიური კავშირი ხელს შეუწყობდა აფხაზეთის სამთავროს პოლიტიკურ კავშირს რუსეთის „მფარველობაში“ მყოფ სამეგრელოსთან და ქელეშ-ბეის პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლაზე მეტყველებდა. ოსმალეთი შეეცადა, სამხედრო ძალით დაემორჩილებინა ურჩი ვასალი, მაგრამ 1806წ. ზაფხულში ოსმალეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტმა სოხუმზე თავდასხმა ვერ გაბედა, ოსმალებმა აფხაზეთზე ხმელეთით, სამეგრელოს გავლით ლაშქრობისგანაც თავი შეიკავეს, რადგან ეს რუსეთთან შეტაკებას ნიშნავდა.

1806 წელს რუსეთ-ოსმალეთს შორის ომი დაიწყო. ქელეშ-ბეი ომში არ ჩაბმულა, მაგრამ მან საშუალება არ მისცა ოსმალებს დესანტი გადმოესხათ აფხაზეთის სანაპიროზე და ეს მხარე საომარი მოქმედებების პლაცდარმად ექციათ. აფხაზეთის მთავარი რუსეთის მფარველობაში შესასვლელად ემზადებოდა, მაგრამ 1808წ. 2 მაისს შვილმა, ოსმალეთის აგენტმა ასლან-ბეიმ ქელეშ-ბეი მოკლა და თვითონ შეეცადა გამთავრებას. მკვლელობა მთლიანად ოსმალეთს აძლევდა ხელს და მკვლელიც მის ინტერესებში მოქმედებდა. ამ დღიდან დაიწყო ასლან-ბეის ბრძოლა, ოსმალეთზე დაყრდნობით, აფხაზეთში გამთავრებისათვის.

მთავრის შვილმა საფარ-ბეიმ მამისმკვლელს წინააღმდეგობა ვერ გაუწია და სამეგრელოში გადავიდა, სადაც წერილობით სთხოვა ნინო და ლევან დადიანებს, ეშუამდგომლათ იმპერატორის წინაშე რუსეთის მფარველობაში აფხაზეთის მიღების თაობაზე. რუსეთთან აფხაზეთის სამფარველო ხელშეკრულების, *„სათხოვარი პუნქტების“* ტექსტი რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში შეადგინეს, შემდეგ ის ქართულად ითარგმნა და როგორც ორიგინალი, გიორგი შარვაშიძეს წარედგინა. 1808წ. 12 აგვისტოს გიორგი შარვაშიძემ და აფხაზეთის თავად-აზნაურთა წარმომადგენლებმა *„სათხოვარი პუნქტების“* ქართულ ტექსტს ხელი მოაწერეს. „სათხოვარი პუნქტების“ მიხედვით, გიორგი შარვაშიძემ რუსეთის წინაშე აიღო ის ვალდებულება, რაც ოსმალეთის იმპერიისადმი მამამისს, ქელეშ ბეის გააჩნდა: „მივართმევ ხესა ხომალდისათვის ვითარ იგი მიირთვა უწინარეს ამისა

პორტამან ათამანმან.“

1810წ. 17 თებერვალს, იმპერატორმა ალექსანდრე I-მა საფარ-ბეი (გიორგი) შარვაშიძე დაამტკიცა აფხაზეთის მთავრად, რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების აღიარებითა და შინაგანი ავტონომიის ცნობით. 1810წ. 10 ივლისს რუსულმა ესკადრამ შტურმით აიღო სოხუმის ციხე და ის ოსმალური გარნიზონისაგან გაწმინდა. სოხუმის ციხის დაუფლება მთელი აფხაზეთის დაუფლების წინაპირობას წარმოადგენდა. აფხაზეთის სამთავრო ტახტზე ქრისტიანი მთავრის დასმას რუსეთის იმპერიის ამ მხარეში პოლიტიკური გაბატონებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საფარ-ბეისა და ასლან-ბეის შორის ბრძოლა რუსულ და ოსმალურ გავლენას შორის ბრძოლას წარმოადგენდა. სოხუმ-კალეს აღება რუსების მიერ და ასლან-ბეის განდევნა, იყო არა იმდენად საფარ-ბეის გამარჯვება ასლან-ბეიზე, რამდენადაც რუსეთის გამარჯვება ოსმალეთზე აფხაზეთში.

II თავის II პარაგრაფში: ***„ოსმალოფილური ჯგუფის ბრძოლა ხელისუფლებისათვის აფხაზეთში XIX საუკუნის პირველ მესამედში“*** ასახულია დასავლეთ საქართველოში რუსეთის დამკვიდრების კვალდაკვალ აფხაზეთის სამთავრო სახლში ოსმალური და რუსული ორიენტაციის დაჯგუფებებს შორის მიმდინარე ბრძოლა. აფხაზეთის მთავრის რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლა აფხაზეთზე ოსმალეთის სუზერენიტეტის დასასრულს მოასწავებდა, მაგრამ ოსმალეთი არ ცნობდა აფხაზეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლას, მას კვლავინდებურად სულთნის ვასალ ქვეყნად მიიჩნევდა და საკუთარი ბატონობის აღსადგენად აიარაღებდა, ფულითა და პოლიტიკური მხარდაჭერით წარმართავდა თავისი აგენტის ასლან-ბეის ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ. კავკასიაში რუსთა სარდლობას მიაჩნდა, რომ სოხუმსა და აფხაზეთზე, როგორც ნებაყოფლობით შეერთებულ მხარეზე, ოსმალთა პრეტენზია რუსეთს არ უნდა მიეღო, და ვინაიდან სოხუმი აფხაზეთის მთავართა რეზიდენცია იყო, აფხაზები მის დათმობას რუსეთის მხრიდან აფხაზეთზე ხელის აღებად შეაფასებდნენ.

1815წ. დამლევისათვის, აფხაზეთში ოსმალური დაჯგუფების ბრძოლამ ხელისუფლებისათვის თითქოს წარმატებას მიაღწია. თურქეთის პრემიერ მინისტრის არქივში დაცული დოკუმენტის მიხედვით, 1815წ. დეკემბრის დასაწყისში, ოსმალეთის ხელისუფლებამ მიიღო ინფორმაცია საფარ ბეის *„ატალიკ“*-ის (გამზრდელის, მამობილის – **ზ.წ.**) ჰაჯი აჰმედისაგან, თითქოს საფარ-ბეი მზად იყო მოენანიებინა დანაშაული და კვლავ ოსმალეთის ქვეშევრდომობას დაბრუნებოდა. ჰაჯი აჰმედისგან ოსმალეთის ხელისუფლებამ შეიტყო, რომ მას შემდეგ, რაც ასლან-ბეიმ მოუკლა მამა, საფარ-ბეი შიშობდა, რომ ძმა მასაც გამოასალმებდა სი-

ცოცხლეს, ამიტომ იძულებული გახდა რუსებისათვის ეთხოვა მფარველობა. საფარ-ბეი მზად იყო, დანაშაული ოსმალეთის წინაშე იმით გამოესყიდა, რომ სოხუმის ციხიდან რუსები გაეყარა და კვლავ სულთანს დამორჩილებოდა. გიორგი შარვაშიძე, ორმაგი პოლიტიკის წარმოებას ცდილობდა. ის შიშობდა, რომ რუსეთი საბოლოოდ აფხაზეთს ოსმალეთს დაუთმობდა და ამისათვის თადარიგს იჭერდა.

1821წ. 7 თებერვალს, აფხაზეთის მთავარი გიორგი შარვაშიძე ლიხნში გარდაიცვალა. ოსმალეთისათვის კვლავ დადგა აფხაზეთის საქმეებში, ასლან- ბეის ფაქტორის გამოყენებით, უშუალო ჩარევის დრო. 1821წ. ივნისში, ასლან-ბეი ოსმალეთიდან ჯიქეთში ჩავიდა. ასლან-ბეიმ თამარ შარვაშიძეს მძევლები და აფხაზეთში თავისუფლად შეშვება მოსთხოვა. თამარ შარვაშიძემ ასლან-ბეის მოციქულები, სოხუმის ციხის კომენდანტის მაიორ მიხინის თანდასწრებით, სოხუმის ციხეში მიიღო და განუცხადა, რომ მამისმკვლელს აფხაზეთში არასდროს შეუშვებდა. აგვისტოში, გიორგის მემკვიდრეს, დიმიტრი შარვაშიძეს იმპერატორის ბრძანებით პოლკოვნიკის ჩინი ებოძა და აფხაზეთის მთავრად დაინიშნა.

ოსმალეთის ემისარი ასლან-ბეი, გამალებულ საქმიანობას ეწეოდა რუსთა წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი სამხედრო გამოსვლის მოსამზადებლად. ის ანაპის ფაშის დახმარებით კრებდა ლაშქარს აფხაზეთში შესაჭრელად, აფხაზეთში წერილებს აგზავნიდა და აჯანყებისაკენ მოუწოდებდა მოსახლეობას. აგვისტოს შუა რიცხვებში აფხაზეთში ოსმალეთის მომხრე დაჯგუფებამ გადამწყვეტი შეტევა წამოიწყო. ასლან-ბეიმ გამოაცხადა, რომ ხელთ ჰქონდა სულთნის ფირმანი, რომლის ძალით ის აფხაზეთის მთავრად იყო დანიშნული და რუსეთიც სოხუმს მას უთმობდა. კავკასიაში რუსეთის მმართველობამ, აფხაზეთში ოსმალეთის მომხრე დაჯგუფების ამბოხების ჩასახშობად გადამჭრელ ზომებს მიმართა, ნოემბერში სამხედრო ძალის გამოყენებით ასლან-ბეის მომხრეები გაფანტა და დიმიტრი შარვაშიძე სამთავრო ტახტზე აიყვანა, თუმცა ახალგაზრდა მთავარი მალევე გარდაიცვალა, როგორც ვარაუდობდნენ ის ასლან-ბეიმ მოაწამლვინა. 1823 წელს აფხაზეთის მთავრად დიმიტრის უმცროსი ძმა, მიხეილი გამოცხადდა.

1824-1827 წლებში ასლან-ბეი კვლავ ცდილობდა აფხაზეთში დამკვიდრებას, მაგრამ უშედეგოდ. ოსმალეთის მომხრე დაჯგუფების ბრძოლა ხელისუფლებისათვის აფხაზეთში, XIXს. პირველ მესამედში, მარცხით დამთავრდა, რასაც განაპირობებდა რუსეთის გამარჯვება ოსმალეთთან ომებში. 1829წ. დადებული ადრიანოპოლის ზავის თანახმად, ოსმალეთმა აფხაზეთი და მასთან ერთად დასავლეთ კავკასია რუსეთის შემადგენლობაში ცნო. რუსეთის შემადგენლობაში

ფორმალური ცნობის მიუხედავად, ოსმალეთს აფხაზეთზე ხელი არ აუღია. ოსმალეთის პრეტენზიებს აფხაზეთზე და დასავლეთ კავკასიაზე ხელს უწყობდა ინგლისი. სტამბოლში ინგლისის საელჩო დასავლეთ კავკასიაში და აფხაზეთში ანტირუსული გამოსვლების ორგანიზებას ეწეოდა. ინგლისელ დიპლომატთა და მზვერავთა თაოსნობით, 1830 წელს სტამბოლში ჩამოყალიბდა *„ჩერქეზული პოლიტიკური ცენტრი“*, მას რუსებთან მებრძოლი ჩრდილოეთ კავკასიისათვის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობა უნდა გაეწია.

II თავის III პარაგრაფში: ***„აფხაზეთი ყირიმის ომის წლებში (1853-1856წწ.)“*** განხილულია ოსმალეთის პირველი სამხედრო ინტერვენცია აფხაზეთში, რაც რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ოსმალეთისა და მისი დასავლეთ ევროპელი მოკავშირეების მიერ წარმოებული საომარი მოქმედებების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. სოხუმი ყირიმის ომის დროს ოსმალთა საექსპედიციო კორპუსის ბაზად იქცა, სადაც ოსმალეთის არმიის მთავარსარდალი ომერ ფაშა, *„ჩერქეზული პოლიტიკური ცენტრის“* წარმომადგენელი ზანუყო სეფერ-ბეი და შამილის ნაიბი მოჰამედ ემინი, დასავლეთ კავკასიის მთიელთა შეკრებასა და ერთობლივი ძალებით თბილისისაკენ გალაშქრებას გეგმავდნენ.

რუსეთის ხელისუფლება მიხეილ შარვაშიძის მადლიერი იყო აფხაზეთიდან რუსული ჯარის ნაწილების დროული გამოყვანის გამო, რისთვისაც იმპერატორმა ის თეთრი არწივის ორდენით დააჯილდოვა. ამავე დროს, ოსმალეთმა გადაწყვიტა დახმარებისათვის უშუალოდ მიემართა აფხაზეთის მთავრისათვის, რომელსაც კვლავ თავისი მფარველობის ქვეშ მყოფი ქვეყნის ხელისუფლად განიხილავდა. აფხაზეთის მთავარმა სოხუმში ჩამოსული ოსმალო ფაშას წერილს პასუხი არ გასცა. ამ დროს, აფხაზეთის მთავარმა რუსეთის ერთგულება გამოიჩინა. მან გამოიყენა თავისი გავლენა, რათა აფხაზეთის მეზობელი მთიელი ტომებისათვის ოსმალთა მიმართ უნდობლობა გაეღვივებინა. მიხეილ შარვაშიძემ რუსულ სარდლობას აფხაზეთში ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის კონკრეტული გეგმა წარმოუდგინა, რომელიც ითვალისწინებდა კოდორის ხაზის დაცვას აფხაზეთის, სამურზაყანოს, სამეგრელოს, იმერეთის მილიციით და რეგულარული ჯარის ნაწილებით. შარვაშიძემ რუსეთისგან ვერ მიიღო რეალური სამხედრო დახმარება, ის სამეგრელოშიც ვერ ჩერდებოდა და 1855წ. მაისში სამშობლოში დაბრუნდა.

მიხეილ შარვაშიძემ ოსმალთა საოკუპაციო ჯარის სარდალს აცნობა, რომ ის აფხაზეთში არ ჩამოსულა მათთან საბრძოლველად. მთავარს სურდა ნეიტრალიტეტის შენარჩუნება, სანამ აფხაზეთში მოკავშირეთა დესანტი არ გადასხდე-

ბოდა და მთიელების საერთო შეტევა არ დაიწყებოდა დასავლეთ საქართველოზე. ამ შემთხვევაში, აფხაზეთის მთავარი მოკავშირეებთან შეერთების პირობას დებდა და ირწმუნებოდა, რომ ერთობლივი შეტევის შემთხვევაში სერიოზული წინააღმდეგობა არ შეხვდებოდათ. იმ დროს, როცა აფხაზეთი ოკუპირებული იყო, კავკასიის რუსულ ადმინისტრაციას საფუძველი ჰქონდა უნდობლობა გამოეჩინა მთავრისადმი და მეტიც, ღალატში დაედანაშაულებინა იგი, მაგრამ შარვაშიძემ შეძლო თავისი ორმაგი, სახიფათო თამაშის წარმატებით წარმართვა. ის დროის მოგებას ცდილობდა, ამავე დროს, როგორც ირკვევა, ფარული კონტაქტი ჰქონდა რუსულ სარდლობასთან და მას ოსმალთა სამხედრო გადაადგილების შესახებ ატყობინებდა. გადამწყვეტ მომენტში, როდესაც ოსმალთა არმიის მთავარსარდალმა ომერ-ფაშამ სულთნისა და მოკავშირეების სახელით მისცა გარანტიები აფხაზეთის მთავარს არა მარტო მთავრად დატოვების, არამედ დანარჩენ საქართველოში დასაპყრობი ტერიტორიების გადაცემაც შესთავაზა ოსმალებთან შეერთების სანაცვლოდ, აფხაზეთის მთავარმა ამაზე მტკიცე უარი განაცხადა. ომის დამთავრების შემდეგ, შარვაშიძეს „ღალატი“ არ დაუმტკიცდა. რუსეთის ხელისუფლება, მიხეილ შარვაშიძეს აფხაზეთსა და დასავლეთ კავკასიაში იმპერიის შემდგომი წინსვლისა და დამკვიდრებისათვის საჭიროდ მიიჩნევდა. 1856წ. 10 ივლისს სოხუმში რუსული ჯარი შევიდა. სოხუმში შემსვლელ რუს სამხედროებს სათავეში აფხაზეთის მთავარი ედგა.

III თავი – ***„რუსეთ-ოსმალეთის ბრძოლა აფხაზეთისათვის XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XXს. I მეოთხედში“*** ასევე შედგება სამი პარაგრაფისგან.

I პარაგრაფში: ***„აფხაზეთის სამთავროს გაუქმება და აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა“*** განხილულია სამთავროს გაუქმებისა და აფხაზი მოსახლეობის ნაწილის ოსმალეთის იმპერიაში გადასახლების პროცესი. რუსეთმა 1864წ. 12 ივლისს აფხაზეთის სამთავრო გააუქმა და მხარეში პირდაპირი მმართველობა შემოიღო. შეიქმნა სოხუმის სამხედრო განყოფილება, რომელიც ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს დაექვემდებარა. მთავარი მიხეილ შარვაშიძე იძულებით გადაასახლეს რუსეთში, სადაც 1866 წელს გარდაიცვალა. მიხეილ შარვაშიძის წინააღმდეგობებით სავსე ცხოვრებამ და ხანგრძლივმა მთავრობამ, აფხაზეთში რუსეთ-ოსმალეთის ბრძოლის გარემოებებში გაიარა. მიხეილ შარვაშიძე, თავისი მთავრობის ორმოცი წლის განმავლობაში ცდილობდა შეენარჩუნებინა აფხაზეთის ავტონომიურობა რუსეთის იმპერიაში. რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირების კრიტიკულ მომენტებში, ყირიმის ომის დროს შარვაშიძის ქმედებებში გამოჩნდა, რომ მისთვის მთავარი იყო არა რუსეთის ერთგულება, არამედ საკუთარი სამ-

შობლოს-აფხაზეთისა და თავისი ხელისუფლების ინტერესები. სწორედ ეს არ აპატია მას ცარიზმმა.

1866წ. სოხუმის სამხედრო განყოფილებაში საგლეხო რეფორმის საწინააღმდეგო აჯანყებამ იფეთქა. რუსეთმა აფხაზეთში სასწრაფოდ გადაისროლა ჯარის ნაწილები და აგვისტოში აჯანყება ჩაახშეს. ამის შემდეგ, იმპერიამ აფხაზთა ოსმალეთში გადასახლებას მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებად ჩათვალა. რუსეთსა და ოსმალეთს შორის შეთანხმება მოხდა რომ ოსმალეთის ხელისუფლებას აფხაზი მუჰაჯირები რუსეთის საზღვრისპირა ადგილებში არ დაესახლებინა. 1867 წლის აფხაზთა გადასახლება ძირითადად ძალდატანებით ხასიათს ატარებდა, აფხაზები ქრისტიანობასაც იღებდნენ, რომ დარჩენა მოეხერხებინათ. 1867 წელს აფხაზეთიდან ოსმალეთში გადასახლდა 3.358 ოჯახი, 19.342 ადამიანი.

აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან და აფხაზეთიდან ოსმალეთის იმპერიაში ცარიზმისადმი ურჩი მოსახლეობის გადასახლებით, თანაბრად იყო დაინტერესებული როგორც რუსეთი, ასევე ოსმალეთი. ოსმალეთის ხელისუფლება 1859 წლიდან ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა რუსეთთან, რის შედეგად მიღწეულ იქნა შეთანხმება პირველ ეტაპზე 50 ათასი გადმოსახლებულის მიღების შესახებ. ოსმალეთმა პირობა დადო, რომ გადმოსახლებულ ჩერქეზებს არ დაასახლებდა რუსეთის იმპერიის საზღვრების სიახლოვეს. 1860წ. 16 იანვარს, ოსმალეთის ხელისუფლებასთან შეიქმნა სპეციალური *„მუჰაჯირთა კომისია“*, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ტრაპიზონის ვალი (გუბერნატორი) წარმოშობით ჩერქეზი ჰაფიზ ფაშა. კომისია შემდგომში შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა. მის კომპეტენციაში შედიოდა ოსმალეთში მუჰაჯირთა ჩამოსვლის ნავსადგურების კონტროლი, მუჰაჯირების ადგილზე აღრიცხვა და განსახლების ადგილებში გადაგზავნა.

რუსეთის ხელისუფლებას იმდენად ეჩქარებოდა ურჩი მთიელების თავიდან მოშორება, რომ ხელს არ უშლიდა თურქ საზღვაო კონტრაბანდისტებს, თავიანთი გემებით ბათუმის, სოხუმის, სოჭის, ტუაპსეს, ნოვოროსიიკისა და ანაპის რეიდზე დამდგარიყვნენ და სანაპიროზე შეგროვილი ხალხის უკანონო გადაყვანა ეწარმოებინათ. რუსეთის ოფიციალური მონაცემებით, 1858-1864 წლებში ჩრდილოეთ კავკასიიდან გადასახლებულთა რაოდენობა 470 ათას ადამიანს შეადგენდა. ოსმალეთის ოფიციალური მონაცემები განსხვავებულია. 1870 წელს, სულთანს წარედგინა სპეციალური მოხსენება კავკასიიდან ოსმალეთის იმპერიაში გადმოსახლებული მთიელების შესახებ, რომლის მიხედვით, 1865წ. ზაფხულისათვის გადმოსახლებულთა საერთო რაოდენობა შეადგენდა 682 ათას ადამიანს.

ამრიგად, 1867 წელს განხორციელდა აფხაზთა პირველი დიდი მუჰაჯირობა, რაც განაპირობა კავკასიის ომის დამთავრების შედეგად ცარიზმის მიერ აფხაზეთის სამთავროს გაუქმებამ, აფხაზი გლეხობისათვის ბატონყმობის გაუქმების რეფორმის თავს მოხვევამ და აფხაზთა სახალხო აჯანყებამ.

კავკასიელ მთიელთა და აფხაზთა მუჰაჯირობამ ოსმალეთის იმპერიაში, ახალი ეთნოსოციალური, ჩრდილოკავკასიური, ოსმალეთში მიღებული დასახელებით კი ჩერქეზული ფაქტორი ჩამოაყალიბა. ოსმალეთის ხელისუფლების პოლიტიკამ აფხაზ-ჩერქეზებთან მიმართებაში, რომელიც ითვალისწინებდა სამხედრო სტრუქტურებსა და სახელმწიფო აპარატში კავკასიელი მთიელების მოზიდვის წახალისებას, გამოიწვია ქვეყნის მმართველობის ყველა სფეროში „ჩერქეზული“ გავლენის გაძლიერება.

III თავის II პარაგრაფში: ***„რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომი და აფხაზეთი“***, ასახულია რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის დროს ოსმალეთის სამხედრო ინტერვენცია აფხაზეთში, ქართველი და აფხაზი მოსახლეობის დამოკიდებულება ოსმალურ სამხედრო ინტერვენციასთან და რუსეთის იმპერიის მიერ აჯანყებული აფხაზი ხალხის წინააღმდეგ გატარებული რეპრესიები.

1877წ. აპრილ-მაისში აფხაზეთის სანაპიროებთან ოსმალო ასკერები და აფხაზი მუჰაჯირები გადმოსხდნენ. ოსმალეთის არმიის ნაწილებისა და მუჰაჯირების გადმოსხმა აფხაზეთის სანაპიროზე, კავკასიაში მიმდინარე საომარი მოქმედებებისას რუსების ძალების შებოჭვისა და დასავლეთ საქართველოს მიმართულებით შეტევის იმიტაციას წარმოადგენდა. ოსმალურ დესანტთან ერთად გადმოვიდნენ უფრო ადრე გადასახლებული აფხაზი და ჩერქეზი მუჰაჯირები. ოსმალთა ერთ-ერთ სარდალ მუსა კუნდუხოვს ოცდაათამდე, აფხაზური წარმოშობის ოსმალო ოფიცრისგან შემდგარი ამალა ახლდა. მთლიანად აფხაზეთში, ზოგიერთი მონაცემით, სამი ათასამდე აფხაზი მუჰაჯირი გადმოვიდა ნაპირზე. აფხაზმა მუჰაჯირებმა მოსახლეობაში დასარიგებლად ჩამოიტანეს ოსმალეთის არმიის შეიარაღებაში არსებული 30 ათასი შაშხანა.

დესანტის გადმოსხმის დღეებში, გუდაუთაში აფხაზთა სახალხო ყრილობა გაიმართა. ოსმალეთის წარმომადგენელმა წაიკითხა სულთნის ფირმანი, რომელიც აფხაზებს რუსების წინააღმდეგ ომისაკენ მოუწოდებდა. შეკრებილმა აფხაზობამ მოწონებით მიიღო სულთნის ფირმანი. ამის შემდეგ, მოლამ გამოიტანა მუსლიმანთა წმინდა წიგნი ყურანი და შეკრებილები მუსლიმანური წესით დააფიცა სულთნის ერთგულებაზე. ხალხი რელიგიურმა ექსტაზმა შეიპყრო, ქრისტიანმა აფხაზებმა უარყვეს სარწმუნოება, ისინი იხსნიდნენ ჯვრებს, ხის ტოტებზე

ჰკიდებდნენ და ყურანს ეთაყვანებოდნენ. მუჰაჯირებმა ლიხნის ეკლესიის მღვდელი ივანე გეგია მოკლეს. ოსმალებმა მონაზონი ბესარიონი (მიქაბერიძე) და მისი სიძე, მღვდელი ახვლედიანი დააპატიმრეს, ოსმალთა სარდალმა შევქეთ ფაშამ მათ დახვრეტა გადაუწყვიტა, მაგრამ ქართველი სასულიერო პირები, იქვე მყოფი აფხაზური წარმოშობის ოსმალო ოფიცრის შუამდგომლობით შეიწყალა და გაანთავისუფლა.

ოსმალებმა თავდაპირველად დიდ წარმატებას მიაღწიეს და რუსული სამხედრო ძალები აიძულეს დაეტოვებინათ ქ. სოხუმი. აფხაზეთში საომარი მოქმედებების წარმოებისას ოსმალები ძირითადად აფხაზ მუჰაჯირთა ძალებს ეყრდნობოდნენ. კოდორ-ღალიძგას შორის აფხაზ-ჩერქეზი მუჰაჯირებისა და ადგილობრივი აჯანყებული აფხაზების შენაერთები იბრძოდნენ, რომელთა მხარეზე გადავიდა აფხაზური მილიციის დიდი ნაწილიც. აფხაზეთში მუჰაჯირთა აქტიურობამ ოსმალეთის ხელისუფლების მოწონება გამოიწვია. ოსმალეთში თვლიდნენ, რომ რუსები იძულებულნი გახდებოდნენ აფხაზთა აჯანყების გამო, მნიშვნელოვანი სამხედრო ძალა გადაესროლათ აფხაზეთში. ოსმალეთი აფხაზეთში ომს „თვალის ახვევის ოპერაციად“ განიხილავდა, რომელსაც იქ რუსეთის მნიშვნელოვანი ძალები უნდა შეებოჭა. ოსმალეთის სამხედრო სარდლობისათვის მოულოდნელობად იქცა, რომ აფხაზეთის მონაკვეთი შედარებით სუსტად იყო დაცული. ნოვოროსიისკსა და ფოთს შორის განლაგებული იყო მხოლოდ ერთი საარტილერიო დივიზიონი. ოსმალეთის სამხედრო დაზვერვის მონაცემებით, აფხაზეთში დისლოცირებული იყო რუსეთის არმიის ოთხიათას კაციანი შენაერთი, რომლის რიგებში ხუთასამდე ადგილობრივი მილიციელიც შედიოდა. ეს სამხედრო შენაერთი დაქსაქსული იყო აფხაზეთის სანაპიროზე ბიჭვინთაში, სოხუმში, ოჩამჩირესა და კოდორის ხეობაში.

1877წ. 2 მაისს ოსმალთა გემებმა სოხუმს ცეცხლი გაუხსნეს. რუსულმა ჯარმა სოხუმი დატოვა. ქალაქში ანარქიამ, ძარცვა-რბევამ და ყაჩაღობამ იფეთქა. სოხუმის რაზმს, რომელიც სოხუმის სამხრეთით მდ. მაჭარასკენ იხევდა, ქალაქის მშვიდობიანი მოსახლეობა, სოხუმის გარშემო მდებარე სოფლების ბერძენი და სხვა ქრისტიანი მოსახლეობა მოაწყდა. რაზმმა აფხაზთა თავდასხმების გამო წებელდაში დაბანაკება ვერ შეძლო და ბაგადის კლდეებთან კოდორის გადალახვა დაიწყო. ორი დღე, სოხუმის რაზმის არიერგარდი, პოლკოვნიკ გრიგოლ შარვაშიძის მეთაურობით გმირულად იგერიებდა აფხაზთა რაზმებისა და ოსმალური არტილერიის შეტევებს, რამაც უზრუნველყო მთელი პირადი შემადგენლობის, დაჭრილებისა და ლტოლვილების სამშვიდობოზე გადაყვანა. გრიგოლ შარვაშიძე 17 მა-

ისს გადავიდა კოდორის მარცხენა ნაპირზე და ხიდი ჩაშალა. ოჩამჩირის ოკრუგში სოხუმის რაზმის დასახმარებლად გამოგზავნილი გენერალ-მაიორ ალხაზოვის (ალხაზიშვილი) მეთაურობით დამხმარე ძალა შემოვიდა, რომელიც სამურზაყანოში გადმოსულ სოხუმის რაზმთან გაერთიანების შედეგად ენგურის რაზმის სახელით ჩამოყალიბდა.

ოსმალების ძირითადი სამხედრო ძალა ქ. სოხუმში დაბანაკდა და რუსებთან პირდაპირ შეტაკებებში ჩაბმისაგან თავს იკავებდა. ოსმალო სარდლობა, აფხაზთა და მუჰაჯირთა რაზმების გამოყენებას აფხაზეთში რუსული არმიის დიდი კონტინგენტის გადმოსრულისა და ამგვარად სამხრეთ კავკასიაში უპირატესობის მიღებისათვის ცდილობდა. ოსმალები არ იშურებდნენ თანხებს აფხაზთა მოსასყიდად და სამხედრო აღჭურვილობას მათ შესაიარაღებლად. ოსმალებმა აფხაზებს დაურიგეს ამერიკის შეერთებულ შტატებში შესყიდული უახლესი ვინჩესტერის შაშხანები. ოსმალებმა აფხაზეთში ფართოდ გაშალეს ადგილობრივი მოსახლეობიდან მოხალისეების შეკრების კამპანია. როგორც რუსული სამხედრო წყარო აღნიშნავს, რუსების წინააღმდეგ ბიჭვინთის ოკრუგში კომლზე ერთი კაცი, ხოლო კოდორის უბანში, მდ. მოქვამდე, მთელი მოსახლეობა გამოვიდა. აფხაზური შენაერთები შედგებოდნენ მუჰაჯირებისა და მილიციის რაზმებისაგან, რომელთაც სათავეში ადგილობრივი გავლენიანი ფეოდალები ჩაუდგნენ. აფხაზეთში საომარი მოქმედებების დასაწყისში, რუსთა სამხედრო სარდლობის უკანდახევამ მოსახლეობაში რუსებისადმი უნდობლობა გააღრმავა. „არა მარტო აფხაზები, სამურზაყანოელებიც არ ენდობოდნენ ჩვენი იარაღის ძალას და თურქების მხარეზე გადადიოდნენ“ ნათქვამია რუსი სამხედროების ერთ მოხსენებაში აფხაზეთში იმდროინდელი საომარი მოქმედებების შესახებ.

ივლისიდან აფხაზეთში მიმდინარე საომარ მოქმედებებში გარდატეხა დაიწყო. რუსეთის არმიის ენგურის რაზმმა, სამურზაყანოსა და სამეგრელოს მოსახლეობისაგან შემდგარი მილიციის მხარდაჭერით, კოდორის უბანი დაიკავა. აგვისტოში, რუსეთის არმიის მხრიდან სოხუმზე განვითარებული შეტევის შედეგად, ოსმალებმა სოხუმი დაცალეს. ოსმალთა ხომალდებთან ერთად ათასობით აფხაზმა დატოვა სამშობლო.

ამრიგად, 1877 წელს, ოსმალების მორიგი სამხედრო ექსპედიცია აფხაზეთში, აფხაზთა მეორე, დიდი მუჰაჯირობით დასრულდა. 1877 წლის მუჰაჯირობის გამომწვევ მიზეზთაგან ჩვენი აზრით, უმთავრესი იყო ოსმალთა მხრიდან გადასახლების პროპაგანდა და პირდაპირი, იარაღის ძალით იძულებაც. ოკუპანტები მოსახლეობას არ აძლევდნენ საშუალებას, თავი დაეღწია მათგან და სამთავრობო

ჯარების კონტროლირებად ტერიტორიაზე გაქცეულიყო. მიუხედავად ამისა, ცარიზმი ცდილობდა თავისი წარუმატებლობა და უკანდახევა სოხუმიდან დაებრალებინა აფხაზების „ღალატისათვის“, რამაც ქართველი საზოგადოების პროტესტი გამოიწვია. გიორგი წერეთელი, აფხაზთა მუჰაჯირობას უკავშირებდა რუსთა ჯარის უკანდახევასა და მოსახლეობის ოკუპანტების ანაბარა მიტოვებას. ქართველი ინტელიგენცია დიდი თანაგრძნობით ეკიდებოდა აფხაზი ხალხის ტრაგედიას. მკაცრი ცენზურის პირობებში, *„დროება“* უშიშრად აშუქებდა აფხაზი ხალხის განსაცდელს. აქვე აღსანიშნავია, რომ ქართველი ქრისტიანი სასულიერო პირების დაუღალავმა საქმიანობამ, მათ მიერ ათასობით აფხაზის მონათვლამ, რაც აფხაზებს, როგორც ქრისტიანებს, მუჰაჯირობას თავიდან აცილებდა, აფხაზი ხალხი მასობრივი გადასახლებისაგან იხსნა, უბიხების მსგავსად ფიზიკური გაქრობის საფრთხისაგან დაიფარა.

1877 წელს მუჰაჯირობაში აფხაზეთის დაახლოებით 30 ათასამდე მცხოვრები წავიდა. 1879წ. 27 იანვარს რუსეთ-ოსმალეთს შორის სტამბოლში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც კავკასიის რუსულმა ადმინისტრაციამ დაუშვა აფხაზების ნაწილობრივი რეპატრიაცია ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან სამი წლით. ამის შედეგად, გადასახლებულთა თითქმის ნახევარმა, 15 ათასამდე მუჰაჯირმა შეძლო აფხაზეთში დაბრუნება.

III თავის III პარაგრაფში: ***„აფხაზეთი ოსმალეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკაში (XXს. I მეოთხედი)“*** გაშუქებულია, პირველი მსოფლიო ომის (1914-1918) წლებში ოსმალეთის ხელისუფლების საქმიანობა აფხაზეთში სამხედრო შეჭრისა და აქ პლაცდარმის შექმნის მიზნით, აგრეთვე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბრძოლა ოსმალურ ინტერვენციასა და რუსულ ბოლშევიზმთან.

ოსმალეთი მიზნად ისახავდა აფხაზეთის, ჩრდილოეთ კავკასიასთან ერთად, ოსმალეთის პროტექტორატის ქვეშ ჩრდილოეთ კავკასიის ისლამურ სახელმწიფოში გაერთიანებას, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში (1914-1918), ოსმალეთის სამხედრო სარდლობა ამუშავებდა გეგმებს საქართველოს შავიზღვისპირეთში, მათ შორის აფხაზეთში შეჭრისათვის. ოსმალებს განზრახული ჰქონდათ, სოხუმში გასაგზავნ დესანტში ჩაერთოთ რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველები “საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტიდან”. პირველი მსოფლიო ომის მსვლელობისას, ქართველი ემიგრანტებისაგან დაკომპლექტებული „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“, გერმანიის, ავსტრიის და ოსმალეთის მხარდაჭერით ცდილობდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. „კომიტეტის“

მიერ შექმნილი „ქართული ლეგიონი“ ოსმალებთან ერთად იბრძოდა რუსეთის წინააღმდეგ კავკასიის ფრონტზე. 1914წ. ნოემბერში, ოსმალებმა გადაწყვიტეს სოხუმში სადესანტო რაზმის გადასხმა, მაგრამ ეს სამხედრო ოპერაცია „კომიტეტის“ წინააღმდეგობამ ჩაშალა. „კომიტეტის“ ხელმძღვანელის პეტრე სურგულაძის მტკიცებით, არსებულ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში, ასეთი მცირერიცხოვანი დესანტის გადასხმა აფხაზეთში ვერავითარ სარგებელს ვერ მოიტანდა და მხოლოდ გამოიწვევდა მის მთლიან განადგურებას.

რუსეთში მომხდარი ბოლშევიკური გადატრიალებისა და კავკასიის ფრონტის დაშლის შემდეგ კავკასიაში გაბატონებული სამხედრო მდგომარეობა ოსმალეთმა მოიპოვა. 1918წ. 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ხოლო 1918წ. 4 ივნისს ოსმალების მიერ ოკუპირებულ ბათუმში საქართველოსა და ოსმალეთს შორის დაიდო ხელშეკრულება *„მშვიდობისა და მეგობრობის შესახებ“*. ხელშეკრულება მეტად მძიმე იყო საქართველოსთვის და მოითხოვდა მისგან ტერიტორიულ დათმობებს. უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმის ხელშეკრულების რატიფიკაცია არ მომხდარა და იგი ძალაში არ შესულა.

აღსანიშნავია, რომ თავისი მოკავშირის გერმანიის მხარდაჭერითა და მფარველობით გამოცხადებული საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგაც, ოსმალეთის ხელმძღვანელობა აფხაზეთში სამხედრო შეჭრისათვის მზადებას აგრძელებდა. 1918წ. 27 ივნისს, მდ. კოდორის შესართავთან, თავად ალექსანდრე შარვაშიძის მამულში ოსმალური დესანტი გადმოისხა. დესანტის შემადგენლობაში ოსმალეთში გადასახლებულ აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლებიც იყვნენ. აფხაზეთში ოსმალური სამხედრო პლაცდარმის შექმნის სურვილი დაკავშირებული იყო ოსმალეთის ფაქტიური მმართველის, სამხედრო მინისტრ ენვერ ფაშას მიერ შემუშავებულ გეგმასთან, რომელიც ითვალისწინებდა ოსმალეთის პროტექტორატით ჩრდილოეთ კავკასიის მუსლიმანური სახელმწიფოს შექმნას. ეს სახელმწიფო, რომლის შემადგენლობაში ენვერ ფაშა აფხაზეთსაც განიხილავდა, უნდა ქცეულიყო ბუფერად ოსმალეთსა და რუსეთს შორის.

ენვერ ფაშას ამ გეგმის შესახებ ინფორმაციას ფლობდნენ ოსმალეთის მოკავშირე გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის მთავრობები. მოკავშირეები უნდობლობით ეკიდებოდნენ ოსმალეთის ხელისუფლების პანთურქისტულ და პანისლამისტურ მისწრაფებებს. ენვერ ფაშა, სოხუმში დესანტის გაგზავნის გადაწყვეტილების შესახებ განმარტავდა, რომ აფხაზეთი ჩრდილოეთ კავკასიასთან იყო დაკავშირებული და საქართველოს შემადგენლობაში არ შედიოდა. სინამდვილეში ამ დროისათვის აფხაზეთზე ვრცელდებოდა საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქ-

ცია. აფხაზთა სახალხო საბჭოსა და საქართველოს მთავრობას შორის დადებული 1918წ. 11 ივნისის ხელშეკრულებით, აფხაზეთი გაფორმდა საქართველოს ავტონომიურ ერთეულად, ცენტრალურ მთავრობაში შემოღებულ იქნა აფხაზეთის საქმეთა მინისტრის თანამდებობა.

აფხაზთა სახალხო საბჭოში პროთურქულად განწყობილი დეპუტატები, ცდილობდნენ დესანტი წარმოეჩინათ, როგორც ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად ჩამოსული აფხაზი მუჰაჯირების რაზმი. არსებობს საფუძველი, რომ 1918წ. მაისსა და ივნისში ბოლშევიკებისა და ოსმალო სამხედროების აქციები აფხაზეთში ურთიერთდაკავშირებულად მივიჩნიოთ. აფხაზეთში, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ სეპარატისტული – პროთურქული და ბოლშევიკური, დაჯგუფებების ურთიერთკავშირი შეინიშნება აფხაზთა სახალხო საბჭოს პირველი თავმჯდომარის ს. ბასარიას საქმიანობაში. ს. ბასარიას როლი, აფხაზეთში ოსმალური დესანტის მომზადების საკითხში, მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო მისი კავშირებით სტამბოლში მოქმედ *„ჩრდილოეთ კავკასიის პოლიტიკურ საზოგადოებასთან“*, რომელიც ოსმალეთის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის იარაღს წარმოადგენდა კავკასიის მიმართულებით. 1917წ. ს. ბასარია, *„კავკასიის მთიელთა კავშირის“* დელეგაციის შემადგენლობაში, იმყოფებოდა სტამბოლში, სადაც მასთან შეხვედრების შესახებ ცნობა დაცული აქვს აფხაზური წარმოშობის თურქ პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწე მუსტაფა ბუტბაის (ბუტბა). აღსანიშნავია, რომ ს. ბასარიას მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა აფხაზეთში მოქმედი ბოლშევიკური რაზმის „კიარაზის“ მეთაურ ვ. აგრბასთან და ცნობილ აფხაზ ბოლშევიკ ნესტორ ლაკობასთან. თავის მხრივ, ნ. ლაკობა ოჯახური წრით მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბათუმში და ოსმალეთში მცხოვრებ აფხაზ მუჰაჯირებთან. რუსეთში ბოლშევიკური ხელისუფლების დამყარებამ და აფხაზეთში ბოლშევიკების გააქტიურებამ, აფხაზი თურქოფილები ბოლშევიკებს დაუკავშირა დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე, 1918წ. მაის-ივნისში, აფხაზეთში, ბოლშევიკებისა და თურქოფილების ერთდროული გამოსვლები, ერთმანეთთან დაკავშირებულად მიგვაჩნია.

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სამხედრო ძალის გამოყენებითა და პოლიტიკური მეთოდებით ჩაშალა, როგორც თურქოფილი, ასევე ბოლშევიკი სეპარატისტების გეგმები აფხაზეთში. აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორის გიორგი მაზნიაშვილის მიერ მიღებული ზომების შედეგად, მოხერდა ოსმალური დესანტისა და ბოლშევიკური საფრთხის აღკვეთა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება თანაბრად

იცავდა, როგორც ქართველი, ასევე აფხაზი ხალხის უფლებებს. ქართველი და აფხაზი მუჰაჯირების სამშობლოში დაბრუნების საკითხი, საქართველომ იმდროინდელ უპირველეს საერთაშორისო დონეზე – მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოზე გაიტანა განსახილველად.

1920წ. მაისში საბჭოთა რუსეთმა, 1921წ. თებერვალში კი თურქეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობამ, ცნეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომლის შემადგენლობაშიც ავტონომიური ერთეულის სახით იმყოფებოდა აფხაზეთი.

დასკვნით ნაწილში ასახულია კვლევის შედეგები. ხაზგასმულია, რომ აფხაზეთის, როგორც საქართველოს შემადგენელი ნაწილის, ისტორიის მნიშვნელოვანი მონაკვეთი დაკავშირებულია რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიების ურთიერთობებთან, მათ პოლიტიკასთან, როგორც მთლიანად საქართველოს, ასევე კავკასიის მიმართულებით. აფხაზეთში რუსეთისა და ოსმალეთისა იმპერიების პოლიტიკა ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონში გაბატონებას ისახავდა მიზნად. შესაბამისად, ოსმალეთი მხარეში ისლამს ავრცელებდა, ერთმორწმუნე რუსეთი კი აფხაზეთში უძველესი, ქართული ქრისტიანული კულტურის კვალს გულმოდგინედ შლიდა. რუსეთის იმპერია ებრძოდა ოსმალეთის აფხაზეთში გაბატონების ცდებს, სასტიკად ახშობდა ანტირუსულ გამოსვლებს და ოსმალეთთან ომებს აფხაზეთის ურჩი მოსახლეობისაგან დაცლის საბაბად იყენებდა. ოსმალეთისთვის კი აფხაზეთი წარმოადგენდა ერთის მხრივ დასავლეთ საქართველოზე ბატონობისათვის გამიზნულ სამხედრო-პოლიტიკურ დასაყრდენს, მეორის მხრივ ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებთან დამაკავშირებელ სტრატეგიულ პლაცდარმს. ამ პოლიტიკიდან გამომდინარე, ოსმალეთი საქართველოში რუსეთის იმპერიის დამკვიდრების შემდეგ, XIXს. განმავლობაში და XXს. პირველ მეოთხედში, აფაზეთში სამხედრო-პოლიტიკური გაბატონებისათვის ბრძოლაში ეყრდნობოდა ადგილობრივ, ანტირუსულად განწყობილი ძალებს, სამხედრო-პოლიტიკურ და ფინანსურ დახმარებას უწევდა ოსმალოფილურ დაჯგუფებებს, რუსეთთან საომარი მოქმედებების პერიოდში კი საომარი ფრონტი უშუალოდ აფხაზეთის ტერიტორიაზე გადაჰქონდა.

აფხაზეთში ოსმალური და რუსული იმპერიების ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებელმა და ერთიანმა სახელმწიფომ წერტილი დაუსვა. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დაიცვა აფხაზეთის მთელი მოსახლეობის უფლებები და მიანიჭა აფხაზეთს ავტონომიის სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში.